

## ტურისტის საინფორმაციო ფურცელი



გთხოვთ, ყურადღებით გაეცნოთ მოცემულ ინფორმაციას,

### სტამბოლის აეროპორტში ჩაფრენა

აეროპორტში საპასპორტო კონტროლის გავლის შემდეგ თქვენ დაინახავთ ბარგის კონვეიერს. ბარგის აღების შემდეგ მიჰყევით აეროპორტიდან გასასვლელს. ქუჩაში #13 სტენდთან თქვენ შეგხვდებათ გიდი ტრანსფარანტიტო TOURISTALIA.

საჭიროების შემთხვევაში TOURISTALIA-ს წარმომადგენელს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ნომერზე + 90 505 021 53 81.

ავტობუსში ჩასხდომამდე კომპანია TOURISTALIA-ს წარმომადგენელს შეატყობინეთ თქვენი ტელეფონის ნომერი, რომელიც აქტიურია თურქეთის ტერიტორიაზე (როუმინგი). ნომერი აუცილებელია სასტუმროს გიდთან კავშირისთვის, ტურისტული პროგრამის ორგანიზებისთვის, გამოფრენის რეისების კონტროლისთვის და ტრანსფერის ინფორმაციის მიწოდებისთვის.

### აეროპორტი - სასტუმროს ტრანსფერის ინფორმაცია

ჯგუფური ტრანსფერი ტურისტებს ელოდება 1 საათი და 30 წუთის განმავლობაში - თვითმფრინავის დაჯდომის მომენტიდან, ინდივიდუალური ტრანსფერი ელოდება ტურისტებს 1 საათის და 45 წუთის განმავლობაში. ჯგუფურ ტრანსფერზე ერთიანდებიან ტურისტები სხვადასხვა რეისებიდან, - განსხვავება რეისებს შორის არის 2 საათი. ჯგუფური ტრანსფერი ხორციელდება ავტობუსით, სასტუმროებში განთავსების თანმიმდევრობა განისაზღვრება მათი მდებარეობის მიხედვით. ინდივიდუალური ტრანსფერი არ გაივლის სხვა სასტუმროებს.

### სასტუმროში განთავსება

სასტუმროში განთავსებისას საჭიროა დარეგისტრირდეთ სასტუმროს რეცეფციასთან. საერთაშორისო დრო სასტუმროში განთავსების არის 14:00 - ადგილობრივი დროით. ნომრების განაწილება არის სასტუმროს ადმინისტრაციის პრეროგატივა. ძვირფასეულობა, დოკუმენტები, ფული აუცილებელია შეინახოთ სეიფში, რომელიც მდებარეობს ნომერში ან რეგისტრაციის სტენდთან. დანაკარგებზე, რომლებიც არ იმყოფება სეიფში, სასტუმროს ადმინისტრაცია პასუხისმგებლობას არ იღებს. ზოგერთ სასტუმროში სეიფით სარგებლობა ფასიანია, ასევე სხვა დამატებით სერვისებზე დამატებითი გადასახადი არის დაწესებული (მინი ბარი და სხვა).

### ექსკურსიები

ტურისტები, რომელთა ტურ პაკეტები მოიცავენ საექსკურსიო პროგრამებს, წინასწარ დათქმულ დროს უნდა იმყოფებოდნენ სასტუმროს ჰოლში. საექსკურსიო გიდი ან კომპანიის წარმომადგენელი მოზრძანდება თქვენს სასტუმროში და გამოაცხადებს ჰოლში ტურისტებს, რომლებიც უნდა გაემურონ TOURISTALIA ექსკურსიაზე. გთხოვთ, ყურადღება მიაქციოთ,

ავტობუსი რამოდენიმე სასტუმროს გაივლის, ამიტომ შესაძლოა დაგვიანება 20წუთამდე. უფრო

მეტი ხნით დაყოვნების შემთხვევაში გთხოვთ, დაუკავშირდეთ გიდს შემდეგ ნომერზე + 90 505 021 53 81.

მნიშვნელოვანია! ექსკურსიაზე გასვლის დრო მოგეწოდებათ სმს შეტყობინების მეშვეობით საკუთრივ თქვენი, - ტურისტების ნომრებზე და სასტუმროს ელ. მისამართზე.

გთხოვთ, შეამოწმოთ, ჩართული გაქვთ თუ არა სმს როუმინგი. როუმინგის არ არსებობის შემთხვევაში, გასვლის დრო საჭიროა გადაამოწმოთ სასტუმროს რეგისტრატურასთან ან Whats App -ზე + 90 505 021 53 81 მოთხოვნის გაგზავნით. მოთხოვნის გაგზავნისას აუცილებლად მიუთითეთ ვაუჩერის ნომერი და სასტუმროს დასახელება.

## სასტუმრო - აეროპორტის ტრანსფერის ინფორმაცია

აეროპორტში ტრანსფერის საორიენტაციო დრო არის 4-5 სათი გაფრენამდე.

მნიშვნელოვანია! ზუსტი დრო უკანა გზის ტრანსფერის შესახებ მოწოდებული იქნება ტურისტის ნომერზე სმს შეტყობინების ან სასტუმროს ელ. მისამართის მეშვეობით.

გთხოვთ, შეამოწმეთ, ჩართული გაქვთ თუ არა სმს როუმინგი. როუმინგის არ არსებობის შემთხვევაში, გასვლის დრო გთხოვთ გადაამოწმოთ სასტუმროს რეგისტრატურასთან ან Whats App -ზე

+ 90 505 021 53 81 მოთხოვნის გაგზავნით. მოთხოვნის გაგზავნისას აუცილებლად მიუთითეთ ვაუჩერის ნომერი და სასტუმროს დასახელება.

## სასტუმროს დატოვების დღე

საერთაშორისო ნორმების თანახმად საანგარიშგებო დროთ ითვლება 12:00 ადგილობრივი დროით. გასვლის დღეს აუცილებელია სასტუმროს ნომერი დატოვოთ 12:00 -მდე, აუცილებელია გადაიხადოთ დამატებითი მომსახურების საფასური: სატელეფონო ხარჯი, მინი ბარი, კვების და სასმელების ნომერში შეკვეთა და სხვა.

რეკომენდებულია ნომრის გასაღები ჩააბაროთ რეგისტრაციის დესკთან დროულად, დაკარგვის შემთხვევაში დროულად ჩააყენოთ საქმის კურსში ადმინისტრაცია. თუ სასტუმროს დატოვების დღეს გაქვთ ექსკურსია, ნომერი უნდა დატოვოთ ექსკურსიაზე გასვლამდე. ბარგი შეგიძლიათ დატოვოთ შემნახველ საკანში და დარჩეთ სასტუმროს ტერიტორიაზე მანქანის ან ავტობუსის მოსვლამდე.

ჯგუფური ტრანსფერისას  $\pm 20$  წუთი დასაშვებია ავტობუსის მოსვლის დროის ცდომილება. უფრო მეტი დროით შეყოვნების შემთხვევაში, გთხოვთ დაუკავშირდეთ კომპანიის წარმომადგენელს შემდეგ ნომერზე + 90 505 021 53 81.

აეროპორტში მისვლის შემდეგ პირველ რიგში ტარდება უსაფრთხოების ზომების შემოწმება და უნდა ჩადგეთ მოცემულ რიგში. შემდეგ თქვენ რეგისტრაციის სტენდთან მიდიხართ, სადაც მითითებულია თქვენი რეისის ნომერი. აბარებთ ბარგს და იღებთ ჩასხდომის ბარათს. პასპორტის კონტროლის გავლის შემდეგ ნიშნულების მიხედვით მიხვალთ გაფრენის ზონაში, შემდეგ მიბრძანდებით ჩასხდომის ბარათზე მითითებულ გეიტთან. გეიტის ნომერი შესაძლოა იქნეს შეცვლილი საპასპორტო კონტროლის და რეგისტრაციის შემდეგ, ამიტომ ყურადღებით მოუსმინეთ დისპეჩერის განცხადებას და შეამოწმეთ ელექტრონული ტაბლო. გაფრენის აეროპორტში არ არის გათვალისწინებული გამცილებლის მომსახურება.